MES 2 18 00571506

14/05/2018

შპს „ვესტა“-ს,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და შპს „ვესტა“-ს შორის 2018 წლის 27 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-85 ღირებულებით 3194 ლარი. ხელშეკრულების 5.1 მუხლის შესაბამისად, შესასყიდი ობიექტის მიწოდება ხორციელდება 2018 წლის 10 მაისის ჩათვლით. მიუხედავად ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადებისა, თქვენმა კომპანიამ საქონლის მოწოდება განახორციელა 1 დღის დაგვიანებით, 2018 წლის 11 მაისს..

შპს „ვესტა“-ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების გამო 9.1 მუხლის შესაბამისად, ერიცხება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ნაკისრი ვალდებულებების ვადების გადაცილებისთვის დარიცხული პირგასამტეხლოს მოცულობა შეადგენს 0,64 ლარს.

გთხოვთ, წინამდებარე წერილის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადარიცხოთ აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: ერთიანი ანგარიში;
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022;
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: 302003270;
ორგანიზაციული კოდი: 32020202

საგადახდო დავალების დამატებით ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს გადახდის სახე - „დარიცხული პირგასამტეხლო” და ორგანიზაციის დასახელება, ვის სახელზეც ირიცხება აღნიშნული პირგასამტეხლოს თანხა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

გთხოვთ, პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალება წარმოადგინოთ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, გადახდიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. საგადახდო დავალებაში მითითებული უნდა იყოს გადამხდელი ორგანიზაციის დასახელება - შპს „ვესტა“.

პატივისცემით,

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
დირექტორი
გიორგი მაჩაბელი